ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7350926

ნომერი: AR11069888

თარიღი : 12.12.2024

გაცემის თარიღი : 21.01.2025

გაცნობის თარიღი : 22.01.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, N 43ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ბასიაშვილი პ/ნ 01019005422
- თბილისი, კ.ილურიძის ქ. #50

ორგანიზაცია:
- შპს MDM Group კოდი: 400070203

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 19 სექტემბრის №7221661 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 12 დეკემბრის №AR11069888 განცხადებით მომართა დავით ბასიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 19 სექტემბრის №7221661 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 19 სექტემბრის №7221661 გადაწყვეტილებით სამსახური დაეთანხმა, №01.13.03.010.200 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის პანდუსზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას. განმცხადებლის განმარტებით აღარ არსებობს სამსახურის 2024 წლის 19 სექტემბრის №7221661 გადაწყვეტილების საფუძველზე სარეკლამო აბრის მოწყობის ინტერესი და ითხოვს მის ძალადაკარგულად გამოცხადებას. ამასთან, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ფოტომასალით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები განხორციელებული არ არის.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882024589273, მომზადების თარიღი: 23/04/2024) თანახმად, №01.13.03.010.200 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "მეგა პლაზა" (ს/ნ: 402006609). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B24046185; მომზადების თარიღი: 11/04/2024 წ.) შპს "მეგა პლაზა"-ს (ს/ნ: 402006609) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ნინო გველესიანი (პ/ნ: 18001005463). ხოლო, მის მიერ 2024 წლის 18 სექტემბერს, შპს „MDM Group“-ის (ს/ნ: 400070203) სახელზე გაცემული №241250352 მინდობილობით, ხოლო თავის მხრივ შპს „MDM Group“-ის (ს/ნ: 400070203) მიერ 2023 წლის 24 ოქტომბერს გაცემული №231483307 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის - დავით ბასიაშვილის უფლებამოსილება.

განგიმარტავთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს სამსახურის 2024 წლის 19 სექტემბრის №7221661 გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს დავით ბასიაშვილის 2024 წლის 12 დეკემბრის №AR11069888 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 19 სექტემბრის №7221661 გადაწყვეტილება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.